საქართველოს მთავრობის

დადგენილება №534

2021 წლის 15 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოწყვლადი მომხმარებლისა და მისი ხელშეწყობის ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე

მუხლი 1

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3^1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის ტარიფის ზრდის გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში ელექტროენერგიის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან/და ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად გასათვალისწინებელ პროგრამებს/ღონისძიებებს/შეღავათებს (შემდგომში – ხელშეწყობის ღონისძიებები) და ამ ხელშეწყობის ღონისძიებებით მოსარგებლე მოწყვლად მომხმარებლებს (შემდგომში – მოწყვლადი მომხმარებლები) განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, ამ დადგენილების საფუძველზე შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის წინადადებების საფუძველზე.

2. ელექტროენერგიის ბაზრის საათობრივ ვაჭრობაზე გადასვლის შემდეგ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, სამუშაო ჯგუფი დამატებით განიხილავს და შეიმუშავებს იმ მოწყვლადი მომხმარებლების იდენტიფიცირებისა და ხელშეწყობის ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება, აღმოჩნდნენ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მომსახურების არეალის გარეთ.

3. ხელშეწყობის ღონისძიებებისა და მოწყვლადი მომხმარებლების განსაზღვრის მიზნით, იქმნება უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – სამუშაო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე – სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების მინისტრის მოადგილე – სამუშაო ჯგუფის წევრი;

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე – სამუშაო ჯგუფის წევრი;

დ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე – სამუშაო ჯგუფის წევრი;

ე) სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი ან მოადგილე – სამუშაო ჯგუფის წევრი.

4. სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ:

ა) საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წარმომადგენელს;

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უფლებამოსილ პირს.

5. სამუშაო ჯგუფის სხდომას იწვევს და ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

6. სამუშაო ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით.

7. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ორგანიზებას უწევს სამუშაო ჯგუფის მუშაობას, უძღვება სამუშაო ჯგუფის სხდომებს, ამტკიცებს სხდომის დღის წესრიგს და, საჭიროების შემთხვევაში, შეაქვს მასში სათანადო ცვლილებები.

8. სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სამუშაო ჯგუფის წევრთა ნახევარზე მეტი.

9. სამუშაო ჯგუფის სხდომა შესაძლებელია, ჩატარდეს ელექტრონულ ფორმატში.

10. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია, სხდომებში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები და შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები/ექსპერტები.

11. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება სამუშაო ჯგუფის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის ხმა.

12. სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება და ფორმდება სხდომის ოქმით.

13. ელექტრონულ ფორმატში სხდომის ჩატარების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის მიერ გადაწყვეტილება მიიღება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სამუშაო ჯგუფის წევრთა მიერ გაგზავნილი თანხმობის წერილის საფუძველზე.

14. სამუშაო ჯგუფის ორგანიზაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

15. სამუშაო ჯგუფი იკრიბება ტარიფის ზრდის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

16. სამუშო ჯგუფი ტარიფის ზრდის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ხელშეწყობის ღონისძიებებისა და მოწყვლადი ჯგუფების განსაზღვრის შესახებ წინადადებებს საქართველოს მთავრობას წარმოუდგენს ტარიფის ზრდის გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

მუხლი 2

1. სამუშაო ჯგუფი ამზადებს და საქართველოს მთავრობას წარმოუდგენს წინადადებებს ხელშეწყობის ღონისძიებებისა და მოწყვლადი მომხმარებლების განსაზღვრის შესახებ.
2. საქართველოს მთავრობისთვის წარმოსადგენი წინადადებები მოიცავს/ეხება:

ა) ელექტროენერგიის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან/და ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულ მატერიალურ ან/და არამატერიალურ ღონისძიებებს;

ბ) მოწყვლად მომხმარებლებს;

გ) შესაბამისი ღონისძიებების ხანგრძლივობას/მოქმედების ვადას;

დ) მხარდაჭერის ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო დაფინანსების ოდენობას.

3. ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით ხელშეწყობის ღონისძიებების დამატებით განსაზღვრის ვალდებულება არ წამოიშობა იმ შემთხვევაში, თუ „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს ენერგომატარებლების ტარიფთან დაკავშირებულ, მაკორექტირებელ კომპონენტს.

მუხლი 3

საქართველოს მთავრობისთვის წინადადების წარმოდგენის მიზნით, სამუშაო ჯგუფი ხელშეწყობის ღონისძიებებისა და მოწყვლადი მომხმარებლების განსაზღვრისას ეყრდნობა და იყენებს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზას“ და ხელშეწყობის ღონისძიებებს ადგენს სარეიტინგო ქულების მიხედვით იდენტიფიცირებული ოჯახებისთვის.

მუხლი 4

1. ამ დადგენილების საფუძველზე დადგენილი წესი არ ვრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებამდე კომუნალურ გადასახადებთან მიმართებით დაწესებულ შეღავათებზე.
2. სამუშო ჯგუფი უფლებამოსილია, იმსჯელოს ამ დადგენილების ამოქმედებამდე არსებული შეღავათებისა და ღონისძიებების ამავე დადგენილებით განსაზღვრული წესში ინტეგრირების თაობაზე და მომართოს საქართველოს მთავრობას სათანადო წინადადებ(ებ)ით.

მუხლი 5

1. ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით შემუშავებული ხელშეწყობის ღონისძიებები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან.
2. ხელშეწყობის ღონისძიებებზე გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს მთავრობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადებების საფუძველზე, უზრუნველყოფს საჭირო ფინანსური რესურსის მობილიზებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის საბიუჯეტო ასიგნებებში.

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**